კონვენციის დანართებში შემავალი სახეობებიდან ყველაზე დიდი ოდენობით საქართველოდან გადის თეთრყვავილასა (ჩალანტჰუს) და ყოჩივარდას (ჩყცლამენ) ბოლქვები. ტვირთის მფლობელი ვალდებულია წარადგიონოს CITES ნებართვა.



ყოჩივარდას ბოლქვი

კონვენცია საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნითა და ფლორით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES), ანუ ვაშინგტონის კონვენცია მიღებულია 1973 წელს. მის მიზანს წარმოადგენს ველური ფაუნისა და ფლორის უკანონო მოპოვებისა და მათი არალეგაური ვაჭრობის წინაღმდეგ ბრძოლა, ექსპორტ-იმპორტისა და საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტური კონტროლის გზით. ამ კონვენციას საქართველო 1996 წელს მიუერთდა. 1996 წელს CITES-ის სამდივნომ და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რითაც აღიარეს საბაჟო სამსახურების უმნიშვნელოვანესი როლი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობების არალეგალური ვაჭრობის აღკვეთისა და ამ გზით მათი დაცვის საქმეში. აქედან გამომდინარე, გარდაუვალია ქვეყნის შიგნით CITES-ის ეროვნული ადმინისტრაციული ორგანოს, გარემოს დაცვის ინსპექციის, შესაბამისი სამეცნიერო ინსტიტუციებისა და საბაჟო სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობა. სწორედ ამ უკანასკნელი უწყების ვალდებულებაა არ მიიღოს და არ გაატაროს აღნიშნული კონვენციის დანართებში შეტანილი ფაუნისა და ფლორის სახეობების ნიმუშები შესაბამისი ნებართვისა და სერტიფიკატის გარეშე, დაადგინოს ნიმუშისა და სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამისობა. ასევე საბაჟო და გარემოს დაცვითი სამსახურების ვალდებულებაა უკანონოდ მოპოვებული სახეობების საერთაშორისო ვაჭრობის აღკვეთა.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

საფოსტო მისამართი: თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. №62

ოფისის მისამართი: თბილისი, ყიფშიძის ქ. №5ა, IVსადარბაზო, VII სართ.

ტელ: 22 38 74 / 22 16 04; ფაქსი: 22 38 74

ელ. ფოსტა: greenalt@wanex.net; ვებ-გვერდი: www.greenalt.org

მომზადებულია უკრაინაში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და საკვების ხარისხის საკითხებში მრჩეველის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით.

მწვანე ალტერნატივა

როგორ აღმოვაჩინოთ დარღვევა მცენარეული რესურსების ტრანსპორტირებისას

ხე-ტყისა ტრანსპორტირებისას შესაძლოა ადგილი ქონდეს ისეთი სახის დარღვევებს, როგორიცაა: ტვირთის თანმხლებ დოკუმენტაციაში მერქნიანი სახეობის არასწორად მითითება, მცირე რაოდენობის ჩვენება, ასევე შეუსაბამობა მერქნის მოცულობასა (კუბატურა) და მის წონას შორის. საქართველოდან ძირითადი საექსპორტო მერქნიანი სახეობაა წიფელი, ასევე წიწვოვნები - ნაძვი, სოჭი და ფიჭვი.

შესაძლოა, გადამზიდავის მიერ წარდგენილ საბუთებში მითითებული იყოს ჭრაში დაშვებული მერქნიანი სახეობა, ხოლო მასთან ერთად ფარულად გადაზიდულ იქნას ძვირფასი სახეობები: უთხოვარი, წაბლი, კაკალი, მუხა.

საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნითა და ფლორით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) II დანართში შეტანილია საქართველოში გავრცელებული რელიქტური მცენარის - უთხოვარის მონათესავე რამდენიმე სახეობა. უთხოვარის ყველა სახეობა მჭიდროდ ენათესავება ერთმანეთს. ზოგიერთი ბოტანიკოსი განიხილავს მათ, როგორც ერთი ფართოდ გავრცელებული სახეობის ქვესახეობებს ან ვარიაციებს. ამ დაშვების მიხედვით, მოცემული მცენარისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ლათინური სახელწოდება - თახუს ბაცცატა, ისე როგორც პირველად იყო მეცნიერულად აღწერილი უთხოვარი. შესაძლოა სწორედ ამიტომ, ზოგიერთ გამოცემაში ეს მცენარე მიჩნეულია CITES სახეობად.

უთხოვარი მესამეული პერიოდის იშვიათი რელიქტია და შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მოწყვლადი სახეობა, რადგანაც გააჩნია მცირე, ფრაგმენტირებული არეალი. აქედან გამომდინარე, მისი მოჭრა სასტიკად არის აკრძალული. ამის გამო, უკანონოდ მოპოვებული უთხოვარის ტრანსპორტირების ფაქტზე გარემოს დაცვის ინსპექციისა და საბაჟო სამსახურების თანამშრომლებმა მკაცრი რეაგირება უნდა მოახდინონ.

უთხოვარი იშვიათი ხე-მცენარეა და ძირითადად ერთეული ხეების სახითაა ბუნებაში წარმოდგენილი წიფლნარებსა და მუხნარებში. უთხოვარს აქვს ძვირფასი, ლამაზი ფაქტურის მქონე მერქანი, რომელიც გამოიყენება ავეჯის ნაწილების დასამზადებლად და ბინების ინტერიერის მოსაპირკეთებლად. ამის გამო, 1 $მ^3$ უთხოვარის ფასი თურქეთში 3 ათას დოლარამდე აღწევს. ჩვენი ინფორმაციით, ზოგჯერ ადგილი აქვს უთხოვარის უკანონო მოპოვებას და ფარულად ექსპორტს წიფლის მორებთან ერთად.

გარდა ჭრისა, ასევე აკრძალულია უთხოვარის ზეზეულ ხეებზე ნედლი ტოტების მოჭრა (სადღესასწაულო, რელიგიური ან რიტუალური მიზნებით). კანონი კრძალავს არა მარტო ველურად მოზარდი უთხოვარისადმი ასეთი ქმედებების განხორციელებას, არამედ მკაცრ სანქციებს აწესებს დასახლებულ პუნქტებში, სკვერებსა და ბაღებში არსებული მწვანე ნარგავების დაზიანებისა და განადგურების წინააღმდეგ. ამგვარი ქმედებები საბაჟო სამსახურებს არ ეხება, მაგრამ გარემოს დაცვის ინსპექციისა და სხვა სამართალდამცავების რეაგირების საგანი უნდა იყოს.

რაც შეეხება უთხოვარის ნერგების, თესლების და ნაკეთობების ექსპორტს, ეს დასაშვებია, ვინაიდან ჩვენში გავრცელებული უთხოვარი არ არის დაფიქსირებული CITES-ის დანართებში.

თითოეული სახეობის მერქანს დამახასიათებელი კუთრი წონა გააჩნია. როგორც წესი, საქართველოს გზებზე მძიმე ავტოტრანსპორტით ახლად მოჭრილი ხე-ტყე გადააქვთ, იშვიათად - ნახევრად გამომშრალი. მხოლოდ წიფელი, თუ ის გადის საზღვარზე, გადააქვთ მშრალ მდგომარეობაში. სპეციალურ ლიტერატურაში მოცემულია 1 კუბური მეტრი მერქნის წონა კილოგრამებში (ცდომილება მერყეობს 10%-ის ფარგლებში).

მერქნის სახეობა	1 $მ^3$ წონა კილოგრამებში		
	მშრალი	ნახევრად მშრალი	ახალი მოჭრილი
წიფელი	630-710	770	968
ნაძვი	350-600	500-600	794
ფიჭვი	310-710	550-560	863
სოჭი	370-600	470	827

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სატვირთო მანქანის თითოეულ ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 10 ტონას, ან/და ქარხნული წესით დაშვებულ წონას, ან/და საერთო წონა 44 ტონას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტვირთის მფლობელს სოლიდური ჯარიმა ელოდება. საბაჟო სამსახური ვალდებულია შეამოწმოს მანქანის წონა და დარღვევის შემთხვევაში გამოიძახოს საპატრულო პოლიცია, რომელიც შეადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტს და დამნაშავეს დააკისრებს სახდელს. დარღვევის შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების მფლობელმა საკუთარი ხარჯით უნდა მოახდინოს ტვირთის კორექტირება: დაცალოს სატრანსპორტო საშუალება